ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
29.06.2010№ 82
თბილისი

სტუდენტთა მობილობის წესით
ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 7 ივნისის №58 „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა) 2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ, განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს 2010 წლის 5 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე 10^00 საათიდან 16^00 საათამდე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, მესამე სართული, ოთახი 350 (თბილისი, კოსტავას 77).

2. განცხადებების არსებული წესის თანახმად რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

3. სტუდენტთა გადაყვანის წესით ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბაზების ფორმირებისა და აკადემიური დატვირთვების განყოფილების უფროსს, ხ. მხეიძეს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა (ზ. გედენიძე, ა. აბშილავა, გ. არაბიძე, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, გ. მიქიაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის (დანართი 1) შესაბამისად და წარმოადგინონ სწავლების დეპარტამენტში 5 აგვისტოს ჩათვლით;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ. გედენიძე, გ. არაბიძე, ა. აბშილავა, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, გ. მიქიაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე)

ამ გრძანების მე-4 პუნქტის განხორციელებისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 2-ით;

6. დაევალოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიურ, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის, ინფორმატიკისა და მართვის სიტემებისა და ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტების დეკანებს (ზ. გედენიძე, გ. არაბიძე, ა. აბშილავა, ნ. წერეთელი, ო. გელაშვილი, რ. ქუთათელაძე, ზ. წვერაიძე) კონკურსის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინონ შესაბამისი საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 6 აგვისტოს, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანს გ.მიქიაშვილს წარმოადგინოს საგამოცდო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა არაუგვიანეს 4 აგვისტოს;

7. კონკურსანტთა რეგისტრაცია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდეს 5 აგვისტოს, დანარჩენ ფაკულტეტებზე 2010 წლის 6 აგვისტოს;

8. საკონკურსო გამოცდა არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდეს 6 აგვისტოს (ხატვა) და 7 აგვისტოს (ხაზვა), დანარჩენ ფაკულტეტებზე 2010 წლის 7 აგვისტოს;

9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა საკონკურსო გამოცდების შედეგები გამოაქვეყნონ ვებ-გვერდზე 2010 წლის 9 აგვისტოს;

10. სააპელაციო განცხადების მიღება მოხდეს ამა წლის 9 და 10 აგვისტოს ;

11. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა მოამზადონ წარდგინება სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ და წარმოადგინონ სწავლების დეპარტამენტში სტუდენტთა განცხადებებთან და თანდართულ დოკუმენდაციასთან ერთად 2010 წლის 12 აგვისტოს;

12. ძალაში დარჩეს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის №90 გრძანება;

13. 2010-2011 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის გრძანების პროექტის მომზადება და მისი წარდგენა თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა (ხ. მხეიძემ) არაუგვიანეს 2010 წლის 19 აგვისტოს;

14. კონტროლი გრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი. ლომიძეს;

15. გრძანება განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

16. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში ლ. კურიმიშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენის
უფროსი ზ. მაისურაძე